

UDC 624.049

SCOPUS CODE 2215

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-220-231>

ძველი შენობის ფასადის შენარჩუნება მისი რეკონსტრუქციის დროს

- ირაკლი ქვარაია** სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიებისა და საშენი მასალების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: irakvara@yahoo.com
- ლიანა გიორგობიანი** არქიტექტურის საფუძვლებისა და თეორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

რეცენზენტები:

რ. ჟღენტი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: rjghenti@yahoo.com

დ. ტაბატაძე, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: demuribatadze@yahoo.com

ანოტაცია. შენობის ფასადს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალაქის ტრადიციული იერის შენარჩუნებაში. შენობის ფასადი ეპოქის ცოცხალი გამოხატულებაა და ისტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ისტორიული თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებული შენობის დანგრევა კატეგორიულად მიუღებელია. აუცილებელია მისი რეკონსტრუქცია და ფასადების შენარჩუნება. თბილისში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ღიაივნებიანი საცხოვრებელი სახლების აღდგენა და დღესაც ხორციელდება ძველი უბნების რეაბილიტაცია-

რეკონსტრუქცია. მთლიანად განახლდა ბევრი ცნობილი შენობა, მაგრამ ზოგჯერ საჭირო ხდება შენობის შიგა სივრცის სრულად გადაკეთება. ამ დროს ძირითადი პრობლემა ფასადის კედლების მდგრადობის შენარჩუნებაა, რომელსაც რეკონსტრუქციის პროცესში ხშირად არანაირი კავშირი აღარ აქვს ძირითად კარკასულ ნაწილთან. აღნიშნულ შემთხვევებში, სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელია მათი დამოუკიდებლად გამაგრება, რაც სხვადასხვა წესით შეიძლება მოეწყოს, მაგრამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ ფასადი აღდგენილი შენობის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. უკანასკნელ წლებში, რამდენიმე ასეთი

საინტერესო სარეკონსტრუქციო სამუშაო განხორციელდა თბილისში.

საკვანძო სიტყვები: აგება; აღდგენა, გამაგრება; დემონტაჟი; კედელი; მონტაჟი; რეკონსტრუქცია; ფასადი; შენარჩუნება; შენობა.

შესავალი

ქალაქის ტრადიციული არქიტექტურული იერის შენარჩუნებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ძველი შენობების მოვლა-პატრონობა. მათი დიდი უმრავლესობა არქიტექტურული გადაწყვეტითა და მდებარეობით ისე ორგანულად არის შერწყმული განაშენიანებულ გარემოსთან, რომ მათ გარეშე ხშირად წარმოუდგენელი ხდება ქალაქის ამ ნაწილის არსებობა. ყველა ძველი შენობის ფასადი თავისი ეპოქის ცოცხალი გამოხატულებაა და ისტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მთელ მსოფლიოში და მათ შორის თბილისშიც, ისტორიული თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად გამოცხადებული შენობების დანგრევა კატეგორიულად მიუღებელია. მათი „სიცოცხლის“ გახანგრძლივების ერთადერთი გზა კარგად გააზრებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებაა, ფასადური ნაწილის უცვლელად შენარჩუნებით. თბილისში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ღიაივნიანი საცხოვრებელი სახლების აღდგენა და დღესაც ხორციელდება ძველი უბნების რეაბილიტაციარეკონსტრუქცია. მთლიანად განახლდა ბევრი ცნობილი შენობა (ოპერისა და ბალეტის თეატრი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი, სასტუმრო

„თბილისი მარიოტი“, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე და სხვა). ზოგჯერ საჭიროა შენობის შიგა სივრცის სრულად გადაკეთება. ამ დროს ძირითადი პრობლემა არის ფასადის კედლების მდგრადობის შენარჩუნება, რომელსაც რეკონსტრუქციის პროცესში ხშირად არანაირი კავშირი აღარ აქვს ძირითად კარკასულ ნაწილთან. აღნიშნულ შემთხვევებში, სამშენებლო სამუშაოების შესასრულად აუცილებელია მათი დამოუკიდებელი გამაგრება. რეკონსტრუქციის პირობებიდან გამომდინარე, გამაგრების კონსტრუქციები სხვადასხვა წესით შეიძლება მოეწყოს, მაგრამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ ფასადი ისევ ახალი შენობის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. უკანასკნელ წლებში, რამდენიმე ასეთი საინტერესო სარეკონსტრუქციო სამუშაო განხორციელდა თბილისში.


ძირითადი ნაწილი

ძველი შენობის რეკონსტრუქცია, მიუხედავად ექსპლუატაციის ვადისა, რომელიც რამდენიმე საუკუნესაც შეიძლება ითვლიდეს, მათ საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას გულისხმობს. ამისათვის, როგორც წესი, საჭიროა ფუძე-სამძირკვლების, კედლების, სვეტების და სხვა მზიდი ელემენტების გამაგრება-გამლიერება; კარ-ფანჯრების, იატაკის, ღია აივნების, კიბეების, სახურავის და სხვა კონსტრუქციული ელემენტების შეცვლა ან რესტავრაცია. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფასადების მოპირკეთების აღდგენა, რომელიც ისეთივე მასალით და იმავე წესით უნდა განხორციელდეს, როგორც იყო, რათა არ დაირღვეს შენობის არქიტექტურული სახე. ქალაქგეგმარების თანამედროვე მოთხოვნები ხშირად დაკავშირებულია ქალაქის ცენტ-


რალურ ნაწილში სავაჭრო ცენტრების, სასტუმროების და სხვა ტურისტული ობიექტების განთავსებასთან. თავისუფალი ტერიტორიების არარსებობის გამო, მაგალითად ქ. თბილისში, ამ მიზნით, რეკონსტრუქციის პროცესში განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე რამდენიმე შენობის ფუნქციური დანიშნულების შეცვლა და მათი გაფართოება. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მათგანის რეკონსტრუქციის ნებართვა გაცივ მხოლოდ არსებული ფასადების შენარჩუნებით, რათა უზრუნველყოფილიყო დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული განაშენიანების არქიტექტურული სტილის შენარჩუნება.

ერთ-ერთი პირველი ასეთი მცდელობა იყო რუსთაველის პროსპექტზე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სტამბისა და გამომცემლობის შენობის (არქიტექტორი დ. ჩისლიევი). მიშენება-რეკონსტრუქციის შედეგად დიდი სავაჭრო ცენტრის – „მერანის“ გახსნა 2014 წელს. ძველი შენობა წარმოადგენდა 1938 წელს აგებულ კონსტრუქტივიზმის სტილის მრავალსართულიან

საწარმოო შენობას. ახალი პროექტი ითვალისწინებდა რუსთაველის პროსპექტის მხარეს ფასადის უცვლელად დატოვებას. ამასთანავე შენობაში აგურის ყრუ და განიერ კედლებში უნდა მოეწყოთ ფართო გასასვლელები და შემდეგ ძველი შენობა უნდა გაერთიანებულიყო ეზოს ტერიტორიაზე აგებულ, ახალ მრავალსართულიან მონოლითურ რკინაბეტონის კარკასულ შენობასთან (სურ. 1). ძველი შენობის კარკასი, ფასადურ ნაწილში თავიდან ხელუხლებელი დარჩა და საჭირო გახდა, მხოლოდ ჩიხის მხარეს წაგრძელებული გვერდითი ფასადის კედლის გამაგრება. ეზოს მხარეს გამავალი ძველი შენობის ნაწილის დემონტაჟის შემდეგ, თითქმის 20 მეტრი სიმაღლის კედელი სრულად განმარტობული აღმოჩნდა. მისი მდგრადობის შესანარჩუნებლად დამონტაჟდა გამაგრების სპეციალური კონსტრუქცია, რომელიც შემდეგ თანდათანობით ჩაიხსნა ახალი შენობის აგების და ძველის ამ ფასადური კედლის გადახურვის ფილასთან ანკერებით ჩამაგრების პარალელურად (სურ. 2).



სურ. 1. სავაჭრო ცენტრ „მერანის“ მშენებლობის სქემა



სურ. 2 ცალკე მდგომი ფასადის კედლის გამაგრების სქემა

ახალი და ძველი შენობების გაერთიანების შემდეგ მათ შორის მოსაზღვრე ძველი შენობის 100 სმ სიგანის აგურის კედელი შეიცვალა რკინაბეტონის 30 სმ სიგანის კედლით. გამაგრდა ძველი შენობის მზიდი ელემენტები და ჩამოყალიბდა ერთიანი სავაჭრო სივრცე, რთული იყო ძველი შენობის ფასადის ტერაზიტული ბათქაშის აღდგენა. მას წლების განმავლობაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა და მრავალჯერ იყო შეკეთებული და შეღებილი. ამიტომ მთელი ფასადები სპეციალური ქიმიური

ხსნარით გაიწმინდა. ამის შემდეგ შეკეთდა დაზიანებები და ძველი და ახალი ფასადები დაიფარა ტერაზიტული ბათქაშით, რომელსაც ტრადიციული ფერის მისაღებად სათანადო ტონირება გაუკეთდა. პრობლემური იყო ლითონის აივნების მოაჯირების აღდგენაც, რადგან თითქმის 100 წლის წინათ არსებული თითბრის სანტექნიკური მილებისა და დეტალების დამზადება მხოლოდ სპეციალური დაკვეთით გახდა შესაძლებელი (სურ. 3).



სურ. 3. ფასადი ტერაზიტული ბათქაშის აღდგენის შემდეგ

თითქმის „მერანის“ ანალოგიურად მიმდინარეობს ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობის რეკონსტრუქცია კოსტავა/ზოცვაძის ქ. N 14/2. განსხვავება მხოლოდ ძველსა და ახალ შენობებს შორის არსებული სივრცის შევსებაშია. ახალი პროექტის არქიტექტურული გადაწყვეტით მ. კოსტავას ქუჩის მხარეს, შენობის მთელი ფასადური ნაწილი უცვლელად არის დატოვებული. დანარჩენი ნაწილის დემონტაჟით გამოთავისუფლებული ფართობისა და ეზოს ტერიტორიის გამოყენების შედეგად, ზოცვაძის ქუჩაზე აიგო მონოლითური რკინაბეტონის მრავალსართულიანი კარკასი. ძველი შენობის

ფასადური ნაწილის ახალ შენობასთან გაერთიანების შემდეგ, მოხდება ბუნებრივი ქვით მოპირკეთებული ფასადის სრული რესტავრაცია. 2021 წელს აქ გათვალისწინებულია მსოფლიოში სახელგანთქმული ბრენდის – „ჰილტონის“ 5-ვარსკვლავიანი, 200-ნომრიანი სასტუმროს გახსნა. საინტერესოა, რომ ძველი შენობა გასული საუკუნის 50-იან წლებში აიგო როგორც სოციალისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი მონუმენტურობით გამორჩეული საცხოვრებელი სახლი, ხოლო. შემდგომ წლებში იქ განთავსებული იყო სხვადასხვა სახელმწიფო უწყება (სურ. 4).



სურ. 4. სასტუმრო ჰილტონის მშენებლობა

XX და XXI საუკუნეების საინტერესო არქიტექტურული სინთეზი გამოვიდა 12-სართულიანი სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც სულ ახლახან დასრულდა მელიქიშვილის ქუჩაზე. ძველი შენობა, 1930 წელს აიგო არქიტექტორ კ. ლეონტიევის პროექტით, ტუბერკულოზის პირველი საქალაქო ინსტიტუტისთვის. ბოლო წლებში იქ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი იყო განთავსებული. შენობის არქიტექტურა კონსტრუქცივიზმის იშვიათი ნიმუ-

შია, მისთვის დამახასიათებელი სისადავით, გომეტრიულობითა და ფორმების ლაკონურობით, რომლის გავლენა 1920–1930 წწ. თითქმის ყველა ავტორმა განიცადა. აღნიშნულ სტილს კარგად ერწყმოდა ქართული ისტორიული არქიტექტურის სახასიათო ელემენტები და მთავარი ფასადის ასიმეტრიული გაფორმება, რომელიც კონკრეტულად ამ არქიტექტორისათვის იყო დამახასიათებელი. პირველი სართული ტერაზიტული ბათქაშით იყო დაფარული, ხოლო და-

ნარჩენი ნაწილი გლუვად შებათქაშებულ მოპირკეთებას წარმოადგენდა.

რეკონსტრუქციის თავდაპირველი პროექტი ითვალისწინებდა შენობის ფასადური ნაწილის გამაგრებას და მონოლითური რკინაბეტონის კარკასის მოწყობას, რომელიც ძველი შენობის ფასადთან გაერთიანდებოდა მის მთელ სიმაღლეზე. ამის შემდეგ, ზედა ნაწილში ჩვეულებრივად გაგრძელდებოდა ახალი შენობის აგება. მშენებლობის დაწყებისას აღმოჩნდა, რომ სერიოზული დაზიანებების გამო შენობის ფასადის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურის სამინისტრომ დაუშვა იშვიათი გამონაკლისი და მოხდა ფასადის ნაწილის სრული

დემონტაჟი იმ პირობით, რომ ფასადი თავისი დამახასიათებელი ყველა ელემენტით (ღია აივნები, თაღები, ფანჯრის ღიობები და სხვა) სრულად იქნებოდა აღდგენილი მშენებლობის დასრულების შემდეგ მასზე არსებული ტერაზიტული ნაღესის მოწყობით. სამშენებლო კომპანია „ბკ კაპიტალმა“ მონოლითურ რკინაბეტონში ზუსტად შეასრულა ფასადის აღდგენის სამუშაოები. უცვლელად იქნა განმეორებული ფასადის ყველა დეტალი, რომელიც ძველი შენობის აგურის ფასადს ახასიათებდა. ძველი ფასადი კარგად შეერწყა შენობის თანამედროვე არქიტექტურას. აღნიშნულ შენობაში, მალე გაიხსნება საერთაშორისო ბრენდის, 125-ნომრიანი, 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო „რამადა ვიდჰემისგან“ (სურ. 5).



სურ. 5. ახალი სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსი

ძნელი გადასაწყვეტი აღმოჩნდა, კოსტავას ქუჩა 27-ში, თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მდებარე სასტუმრო „მუზას“ რეკონსტრუქციაცაფართოების საკითხი. XX საუკუნის დასაწყისში აგებული სამსართულიანი შენობა დედაქალაქის

ისეთ გამორჩეულ ადგილას მდებარეობს, რომ მისი რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმებას მრავალი წელი დასჭირდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ხელშეუხებელი იქნებოდა მხოლოდ კოსტავას ქუჩის მხარეს მდებარე ფასადი, შენობის გაფართოება კი

ვერის პარკის მიმართულებით განხორციელდებოდა. ფასადის კედლის გამაგრებისათვის მოხდა მთელი შენობის შიგა ნაწილის ძალიან ფრთხილი დემონტაჟი და გამოთავისუფლებულ სივრცეში აიგო კედლის დამჭერი ლითონის კონსტრუქციული სისტემა (სურ. 6). ფასადის კედლის სიმყარის შესანარჩუნებლად გამოყენებულ იქნა გვერდითი კედლების ნაწილებიც, სადაც ჩამაგრდა გამაგრების კონსტრუქციები გრძივი მიმართულებით. ახალი შენობის

რკინაბეტონის კარკასის და სართულშუა გადახურვების მოწყობის პარალელურად მათ ანკერებით უკავშირებდნენ ფასადის კედელს, კონსტრუქციული გამაგრების დემონტაჟი კითანდათანობით ხდებოდა (სურ. 7). მიშენების პროცესში აღდგენილ იქნა გვერდითი კედლები (სურ. 8). 2021 წელს დაგეგმილია 32-ნომრიანი, 4-ვარსკვლავიანი, განახლებული სასტუმრო „მუზას“ გახსნა.



სურ. 6. სასტუმრო „მუზას“ ფასადის გამაგრება



სურ. 7. სართულშუა გადახურვის ფილის მოწყობა



სურ. 8. სასუმრო „მუზას“ ახალი კარკასული ნაწილი

ძალიან განსხვავებული გამაგრების სისტემის მოწყობა მოითხოვდა რუსთაველის პროსპექტზე, ყოფილი იუსტიციის სამინისტროს შენობის რეკონსტრუქციამ. თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი შენობა აიგო 1898 წელს (არქიტექტორი ვ. ტატიშჩევი), როგორც შემოსავლების სახლი, სადაც სხვადასხვა დროს მრავალი სახელმწიფო და საუწყებო დაწესებულება ფუნქციონირებდა. რეკონსტრუქციის დაწყებამდე, შენობის მზიდუნარიანობის მდგომარეობის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფასადის კედლების დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მიუხედავად, შენობის შიგა კარკასული ნაწილი სიძველის გამო სრულ განახლებას მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, ფასადის გასამაგრებლად, როგორც რუსთაველის პროსპექტის, ისე ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის ქუჩების მხრიდან, საჭირო გახდა მძლავრი ლითონის კონსტრუქციული სისტემების კედლის გარე პერიმეტრზე მოწყობა (სურ. 9). ფასადის

გამაგრების სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდა არსებული შენობის შიგა ნაწილის დემონტაჟი ისე, რომ ფასადის კედლებს მათთან არანაირი კავშირი აღარ ჰქონოდა. გამაგრებული ფასადის კედლებით შემოსაზღვრული ტერიტორიის შიგნით, ახალი საძირკვლის მოწყობით დაიწყო რკინაბეტონის მონოლითური კარკასის მშენებლობა (სურ. 10). ახალი შენობის სართულების ამოყვანასთან და სართულშუა გადახურვის ფილების მოწყობასთან ერთად, თანდათან მოხდება მისი გაერთიანება ფასადის კედელთან, რომლის გამაგრების სისტემის დემონტაჟი მხოლოდ რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ იქნება შესაძლებელი. ახალი შენობის ძველ ფასადზე ტერაზიტული ბათქაშის აღდგენით უახლოეს წლებში შენობა დაიბრუნებს პირვანდელ არქიტექტურულ სახეს (სურ. 11), როგორც მსოფლიოში განთქმული ბრენდის – „ჰაიატ რიჯერსის“ 5-ვარსკვლავიანი, 170-ნომრიანი სასტუმრო.



სურ. 9. ფასადის კედლის გამაგრების სქემა



სურ. 10. ფასადის კედლით შემოსაზღვრული ტერიტორია



სურ.11. შენობის ფასადი რეკონსტრუქციის შემდეგ

დასკვნა

1. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, თავისუფალი ტერიტორიების არარსებობის გამო, სრულიად ახალი ფუნქციური დანიშნულების მქონე შენობე-

ბის ასაგებად შესაძლებელია ძველი, თუნდაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოების ისე შესრულება, რომ სრულიად უცვლელი დარჩეს მათი

ტრადიციული ფასადები და ასეთმა გადაწყვეტამ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ქალაქის ამ ნაწილში არსებული განაშენიანების არქიტექტურულ გადაწყვეტაზე;

2. ძველი შენობების ფასადების უცვლელად შენარჩუნებისათვის, რეკონსტრუქციის პროცესში, ხშირად საჭირო ხდება ფასადის კედლების კავშირის გაწყვეტა ძველი ნაგებობის კარკასულ ნაწილთან. ამ დროს ფასადის კედლების მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მათი გამაგრების ისეთი კონსტრუქციული სისტემების შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდის სამუშაოების დასრულების შემ-

დეგ აღნიშნული ფასადების სრულფასოვან დაკავშირებას შენობის ახალ ნაწილთან;

3. იმ შემთხვევაში, როდესაც სიძველის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია სარეკონსტრუქციო შენობის ფასადის შენარჩუნება, როგორც გამოწვევის დასაშვებია მისი სრული დემონტაჟი მხოლოდ იმ პირობით, რომ ახალი ფასადი ზუსტად ისევე იქნება მოწყობილი და მოპირკეთებული, როგორც ადრე იყო. აღნიშნულის კარგი მაგალითია, ქ. თბილისში, ყოფილი ისტორიის ინსტიტუტის შენობის აღდგენილი ფასადი, რომელიც კარგად შეერწყა ახლად აგებული შენობის არქიტექტურას.

ლიტერატურა

1. I. Kvaraia. Reconstruction of buildings while maintaining their facades. Scientific-Technical Journal "Construction", N 4 (53), 2019. (In Georgian);
2. E. Korotaeva, V. Malyarov. Facades and their reconstruction. International student scientific bulletin. N 6. 2018. (In Russian);
3. K. Salukvadze, T. Bidzinashvili. "Architectural synthesis and its importance" Facade architecture - on the example of Tbilisi. Scientific-Technical Journal of Business Engineering. N 3 (53), 2017. (In Georgian);
4. O. Chainikova. Preservation of the front facades of buildings as a way to recreate architectural monuments. Basic research. N 2, 2017. (In Russian);
5. N. Imnadze, T. Chubinidze. Modern architecture in a historical setting. Journal "Education" GTU, Tbilisi. N2 (16). 2016. (In Georgian);
6. I. Kvaraia. Perform reinforcement work extremely During construction and reconstruction under limited conditions. Technical University. Tbilisi. 2016.(In Georgian);
7. M. Davitaia, T. Valishvili. "Rehabilitation-reconstruction of Tshabadze Street". Journal "Education", GTU. N 1 (12), 2015. (In Georgian);
8. D. Zolotozubov, M. Bezgodov. Reconstruction of the building and structures. PNRPU. 2014. (In Russian);
9. I. Kvaraia, Sh. Khanchashvili. Restoration of terraced plaster on the facade of the building. (In English);
10. Scientific-Technical Journal "Construction", N 1 (28), 2013. (In Georgian).
11. K. Amirejibi. The first decade of Soviet architecture in Tbilisi. Scientific-Technical magazine "Architecture and modern problems of urban planning" N1.2011. (In Georgian);
12. I. Kvaraia, M. Javakhishvili. Reconstruction of buildings Technology. Georgian Technical University. 2008 (In Georgian).

UDC 624.049

SCOPUS CODE 2215

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-220-231>

Maintenance of the Old Building Facade During Its Reconstruction

Irakli Kvaraaia Department of Civil and Industrial Engineering and Building Materials, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^b M. Kostava str.
E-mail: irakvara@yahoo.com

Liana Giorgobiani Department of Architecture Basics and Theory, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a M. Kostava str,
E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

Reviewers:

R. Zhgenti, Professor, Faculty of Construction, GTU

E-mail: rjghenti@yahoo.com

D. Tabatadze, Professor, Faculty of Construction, GTU

E-mail: demuribatadze@yahoo.com

Abstract. Facades of buildings are of special importance for the preservation of the traditional architectural appearance of cities. The façade of the building is a living expression of the era in which it was built and it is an integral part of history. Therefore, demolition of buildings declared as historical or cultural heritage sites is categorically unacceptable. It is necessary to carry out their reconstruction work, keeping the facade intact. In Tbilisi, back in the 70s of the last century, the restoration of houses with balconies began, and today the rehabilitation-reconstruction of old neighborhoods is being successfully carried out. Many famous buildings have been completely renovated as a result of the reconstruction, but sometimes it is necessary to completely renovate the interior of the building. The main problem at this time is to maintain the stability of the façade walls, which often, during the reconstruction process, no longer have any connection with the main frame part. That is why they are temporarily strengthened. Due to the conditions of the reconstruction, the reinforcement constructions are arranged in different ways and after the completion of the works, the facade becomes an integral part of the new building again. In recent years, several such interesting reconstruction works have been carried out in Tbilisi.

Key words: building; construction; dismantling; facade; installation; maintenance; reconstruction; restoration; reinforcement; wall.

UDC 624.049

SCOPUS CODE 2215

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-220-231>

Сохранение фасада старого здания во время его реконструкции

Иракли Кварая

Департамент технологий гражданского и промышленного строительства и строительных материалов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава 68^б

E-mail: irakvara@yahoo.com

Лиана Гиоргобиани

Департамент архитектуры и теории, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 68^а

E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

Рецензенты:

Р. Жгенти, профессор строительного факультета ГТУ

E-mail: rjghenti@yahoo.com

Д. Табатадзе, профессор строительного факультета ГТУ

E-mail: demuritabatadze@yahoo.com

Аннотация. Фасад здания имеет особое значение в сохранении традиционного облика города. Это живое выражение своей эпохи и неотъемлемая часть истории. Поэтому снос зданий, объявленных объектами исторического или культурного наследия, категорически недопустим. Их необходимо реконструировать и поддерживать фасады. В Тбилиси еще в 70-х годах прошлого века началась реставрация домов с открытыми балконами, а сегодня проводится реабилитация-реконструкция старых кварталов. Многие известные здания были полностью отремонтированы, но иногда необходимо полностью обновить интерьер здания. Основная проблема, в этом случае, заключается в сохранении устойчивости фасадных стен, которые в процессе реконструкции часто не связаны с основным каркасом. В этих случаях строительные работы требуют их самостоятельного усиления, которое можно устроить по-разному, но после завершения работ фасад все равно должен стать неотъемлемой частью новостройки. За последние годы в Тбилиси было проведено несколько таких интересных работ по реконструкции.

Ключевые слова: армирование; демонтаж; здание; монтаж; обслуживание; реконструкция; реставрация; строительство; стена; фасад.

განხილვის თარიღი 13.10.2020

შემოსვლის თარიღი 11.11.2020

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.03.2021